# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1147

დამატების № 202

კვირა, 23 მარტი 1914 წ.


F 7/3 ა 14545



1872–1913 წ.



არჩილ ჯორჯაძის მშობლები.
ანასტასია და კონსტანტინე ჯორჯაძენი.

არჩილ ჯორჯაძის ფაქსიმილე.





არჩილ ჯორჯაძის სამარე.




მარმარილოს გვირგვინი მუშებისაგან არჩილ ჯორჯაძის საფლავზე.

# ჭანდარი

(ვუძღვნი არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას)

მინდორზე იდგა ჭანდარი
ტოტ-გართხმით როგორც კარავი,
წვიმის და პაპანების დროს
მშრომელი ხალხის მფარავი

—

დაღლილნი მუშაობითა,
გულ-მკერდს ოფლს გადამდინარნი
იმ ხის ქვეშ თავსა იყრიდენ
მუშები სახე-მცინარნი,
სტკბებოდენ გრილის სიოთი
ზეზე მყოფნი თუ მძინარნი.

—

ხესა ჰლოცავდენ, ამბობდენ:
„ხეო, იცოცხლე ღვთიანო!
„უშენოდ გემო წყალს არ აქვს,
„ვერც პურს ვჭამთ როცა გვშიანო!..“
დამწკრივდებიან ხის გრილში,
წინ სუფრას გაიშლიანო.
ჩრდილი სამოთხეს სჯობია
როცა ყანასა ჰმკიანო...
ლობიოს სჭამენ ან მაწონს
სხვა იმათ რა იციანო.
ცო-ცოტა ღვინოსაც შაჰსმენ,
გულით დარდს გადიყრიანო,
შაჰშრებათ ოფლის ღვარები
გულ-მკერდს რომ ულარვიანო.
უბთხილდებიან ჭანდარსა,—
მუშების დედა ჰქვიანო.
უნდათ იცოცხლოს, არ გახმეს,
მეუფეს ავედრიანო:
„ღმერთო, გვიცოცხლე ჭანდარი,
„რაფრით დაგვიზიანო“!..
იმ ჭანდრის მოტრფიალეთა
ხელ-აპყრობითა თქვიანო.

—

მაგრამ ხე უცებ წაიქცა,
მით ატირა გლეხები.
და ჭანდრის დიდრონს ფესვებზე
სხვა ამოვიდა ხეები.

—

დიდი ქალაქი გაკეთდა
ჭანდრის ნადგომზე ფიჩხისა.
თუმც ჯერ არა აქვს მათგანსა
...ც ერთს ლაზათი იმ ხისა.

—

...ედი არის რომ ერთს დროს
...აიზრდებიან დიდები,—
...ათ ჩრდილშიც მოიგრილებენ
...კერდ-ოფლიანი ბიჭები.

ვაჟა-ფშაველა.

* * *

იგლოვე და იამაყე, საქართველოვ, დედავ ღირსო!
წელთა დენამ გიკარნახა, კვალად ჰშობდე მრავალ გმირსო!
ხორცი დასწვა სამსხვერპლოზედ, შეიწირო და სცე დანა,
ხოლო სული აღამაღლო, დაამკვიდრო ღმერთთა-თანა.

იგლოვე და იამაყე, საქართველოვ, გმირთ მშობელო!
შვილთა ნეშთით ასაზრდოვე შენის მიწის ტურფა მდელო.
შთამოგვბერე სული მათი!—სიდიადე განაახლო,
რათა შენი მომავალი ბრწყინვალება იქმნეს ახლო.

ბაბილინა.

# არჩილის სამარესთან

აი, კვლავ მოველ შენს სამარესთან,
აი, კვლავ მოველ გულ ბინდიანი
და შენს წმინდა ფერფლს ცრემლთა მაგიერ
მიმოვაბნიე ვარდნი, იანი...

უგრძნობელია წიაღი შენი
და ცივი, როგორც უმანკოება,—
ჰმუნვით გფარვიან შემოგარენი,
უცრემლოდ გტირის ცის მყუდროება!..—
გძინავს, ვით ბედსა სამშობლოისას,
ვით ერის იმედს დაუსაბამოს,—
დილით მის ცისკარს ღიმით ვერ ჰხვდები
და ვერც ცრემლით რწყავ მის თალხ საღამოს!..
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

აჰა, იფეთქებს მკერდი მიწისა,
ყვავილნი კდემით გაიშლებიან,
და მგოსნის ცრემლით გულ დანამილნი
გლოვის არშიად მოგევლებიან.
მზეც აინთება, მზე შუქ-ცხოველი,
ხალხის ბნელ ქოხში შემოიჭრება;
და მის წრფელ სულის მადლობის ნიშნად
ცივ ფერფლს მოგირთავს ნათელ სხვით კრება...
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

შენ კი იძინე... იძინე მშვიდად,
ვით ვალ მოხდილმა სარდალმა ერის,—
აწ მოწოდება შენი უკვდავი
სიმ ცრემლიანი ჩანგისა ჟღერის—
ჩვენის ცხოვრების შავ ბნელ ღამეში,
შემოციმციმდა ვით გაზაფხული,
თან მზედ ამოჰყვა მას სული შენი
და მან აგვინთო დამქრალი გული!..

ს. ფაშალიშვილი.

# ნეტარება მას!

(არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას)

ნეტავი იმას, ვინც ხალხის გულში
საბედნიერო მყობადი ქსოვა,
ვინც მოკვდა ხალხის წრფელ სიყვარულში
და ამ სიკვდილით სიცოცხლე ჰპოვა.
ნეტარება მას! მან წმინდა საქმით
დაიდგა სხივი უკვდავის მზისა:
ქვეყნად ყოფნის დროს მოსილი დაფნით,
დღეს სამკაული გამხდარა ცისა!

ი. მჭედლიშვილი.

# გლოვა

არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას

...ს წვერზე ვიდექ, ვსთხზავდი ლოცვის ჰანგს,
... ასაკმევს ვსთხზავდი სიმღერას,
...ნ ...ურს უგდებდი ნიავის ჩურჩულს,
...ნ ...ურს ვუგდებდი მთის გულის ძგერას.
...ვმა კვნესის ხმები მასმინა,
...ბლოს მთამ კი... გლოვისა ჰიმნი!..
...ანგსაც ჩასწვდა გულში გლოვის ხმა
...ვითინდა... ატირდნენ სიმნი.
... ვერ მივსწვდი მე საიდუმლოს,
...ვმხვდარიყავ, თუ რას ნიშნავდა,
...ნგი, ტირილს არა ჩვეული,
... მაგივრად გლოვის ჰანგს სთხზავდა.
...კითხე: თუ რისთვის კვნესის,
...ვ კვნესით დაისისინა
და საიდუმლო გლოვა-ტირილის
მთის წვერს მოსტაცა და გააფრინა.

მთის მწვერვალიდან დაბლა დავეშვი
და აქ ვიხილე ზღვა ცრემლებისა...
ყვავილმა, ლაწვზედ ცრემლ შეფრქვეულმა,
მითხრა მიზეზი მწუხარებისა.
მითხრა: სამშობლომ სახელოვანი
შვილი შავ მიწას მიაბარაო,
ერის გუშაგი და მოამაგე
სამარემ შთანთქა და დაჰფარაო.
მიმოვიხედე და დავინახე
ერი მტირალი და ძაძა-ცმული,
სამშობლო არეც ცრემლებს აფრქვევდა,
შავი ღრუბლებით გარემოცული.
და მეც ავტირდი, რა დავინახე
გმირის საფლავი უგრძნობი, ცივი
და საფლავს, მშობელ ერის დანატირს,
მეც დავაყარე ცრემლების მძივი.

ი. ვადა...ია.

...ზა სტამბა „შ...ა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი გამომცემელი ა. ...ანაშელი.
ტფილისი, ...
...ოფ... მუხრანის ...